ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 296 (20642) — ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1989 ᲬᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1989 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმის განსახილველად შეტანილია ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე გამოვიდნენ: ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. მ. ბუროკიავიჩუსი — ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმით), ვილნიუსის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ა.-რ. ხ. ვეზიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ნ. ელჩენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ა. მედვედევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ვ. გრიგორიევი — ბელორუსიის კომპარტიის ვიტებსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა. ივაშკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვიალიასი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ფ. ნენაშევი — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ი. დ. მასლიუკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. ს. ბალტრუნასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, ვ. ა. კრიუჩკოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ი. ი. ვაგრისი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. პ. რაზუმოვსკი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ა. ბერიოზოვი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, მ. ი. იუსუპოვი — სკკპ დაღესტანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. კორნიენკო — ბალტიის ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი.

26 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲘᲐᲛᲣᲚᲝᲜ ამხანაგებო!

თანამემამულენო!

ამთავრებს რა თავის მუშაობას, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა მოგმართავთ თქვენ, სსრ კავშირის მოქალაქეებს, ჩვენს ამომრჩევლებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, პარტიის წევრებსა და უპარტიოებს, ქალებსა და მამაკაცებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდობას, ათეისტებსა და მორწმუნეებს.

ქვეყანა მიუახლოვდა ძნელ და პასუხსაგებ მიჯნას. ჩვენს გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე დამოკიდებულია მისი შემდგომი ბედი. შუბედულებათა და აზრთა მთელი მრავალფეროვნებას მიუხედავად, რომლებიც ხშირად ერთმანეთს უწინააღმდეგდება, მწვავე დისკუსიათა დროს, გამოვლინდა ყრილობის ერთიანობა მთავარში: განუხრელად ვიაროთ წინ პარტიის მიერ დაწყებული სოციალისტური განახლების გზით, არ ვეტაკინოთ ერთი ადგილი არ მივაჩაჩალებდეთ მოვლენებს ყუდში, არამედ სანდოდ წავიოთ წინ რეფორმები ყველა მიმართულებით. ჩვენი აზრით, სწორედ აქ არის გამოსავალი სიტუაციიდან, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა.

თუ გადავწყვეტთ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მომწიფებულ საკითხებს, წინ წავალთ დინამიკური, ჰუმანისტური სოციალისტური საზოგადოებისკენ, სადაც მაღალი იქნება ხალხის კეთილდღეობის დონე. თუ დავყოვნდებით, შევჩერდებით, რეფორმებს შევაფერხებთ — ძნელად გამოსახსორცებელ ზიანს მივაყენებთ აწმყოსაც და მომავალსაც.

ყრილობამ განიხილა და მხარი დაუჭირა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების მთავრობისეულ ღონისძიებებს და ამავე დროს დაასკვნა, რომ ეს ღონისძიებანი ვერ ამოქმედდება, თუ მნიშვნელოვნად არ დაჩქარდა ახალი საარსებო მნიშვნელობის კანონების მიღება, რომლებიც ეკონომიკური რეფორმების ბირთვს წარმოადგენენ. მათ უნდა უზრუნველყონ გადასვლა სოციალისტურ ბაზაჩონლო მეურნეობაზე, მიანიჭონ ჩვენს ეკონომიკას ახალი, უფრო თანამედროვე და ეფექტური ფორმები; მრავალფეროვნებისა, მოქნილობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ათვისება. ისინი დაგეგმარება აღმოვფხვრათ გამთანაბრებლობა და ხელი მიმეცეს ოფ თანამიდევრულად განვახორციელებთ სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, ადამიანის უფლებას შრომის ანაზღაურებაზე, რომელიც პირდაპირ იქნება დამოკიდებული მის შედეგებზე. ყრილობამ დააჯადა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს უკვე უახლოეს სესიაზე განიხილოს და მიიღოს კანონების ეს პაკეტი.

სახალხო დეპუტატებს თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეთ განაცხადონ შემდეგი: ვერავითარი, ყველაზე ცხრულეფოფითი კანონები და დადგენილებანიც კი ვერ გადაწყვეტენ ქვეყნის მწვავე პრობლემებს, თუ მათს მიღებას არ მოჰყვა თითოეული მოქალაქის რეალური მოქმედება. მხოლოდ საერთო შრომის, საერთო ძალისხმევის შედეგად შეიძლება ჩვენში გაჩნდეს უხვად პროდუქტები და საქონელი, შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ყველასა და თითოეულის კეთილდღეობა. საჩუქრებს ნურავინგან ელით. ჩვენ მოგიწოდებთ გაძლიეროთ ორგანიზებულობა, ბოლო მოუღოთ ბელმოშებულობას, უდისციპლინობასა და უყაირათობას, მტკიცედ ებრძოლოთ სახალხო დოვლათის დაზაკარგებს.

ყრილობამ იმპულსი მიანიჭა პოლიტიკური რეფორმის განვითარებასაც და კონსტიტუციური კულტურის ამაღლებასაც, ჩვენი სოციალისტური ფედერაციის გამდიდრებას ახალი შინაარსით. ახალი საარჩევნო კანონმდებლობა აფართოებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებში აქტიური, ახლებურად მოაზროვნე მოქალაქეების არჩევის შესაძლებლობას, რომლებსაც უნარი შესწევთ საქმით შეასრულონ თავიანთი მაღალი მოვალეობანი.

ისევე როგორც მთელი ქვეყანა, დეპუტატები შეშფოთებითა და გულისტკივილით აღიქვამენ ჩვენს საზოგადოებაში ეროვნებათშორისი კონფლიქტების აფეთქებებს, და მოგმართავენ ყოველ თქვენგანს, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ჩვენ მივუახლოვდით საშიშ ზღვარს, რომლის წინაშე უნდა შეჩერდეთ, ბოლო მოვუღოთ განხეთქილებებსა და გაუგებრობას, გამოვრიცხოთ ზეგავლენის, ბლოკადისა და ძალმომრეობის მეთოდები. არა ბრმა ულმობელობას, არამედ ადამიანურობას, თანაგრძნობას, ერთმანეთის პატივისცემას, გონიერებასა და კეთილ ნებას ძალუძთ გადაწყვიტონ ნებისმიერი, თუნდაც ურთულესი კონფლიქტები.

ვიფასებთ რა საზოგადოებაში შექმნილ ატმოსფეროს, ჩვენ, სახალხო დეპუტატები, ვთხოვთ, რომ ჩვენ, ყველა საბჭოთა ადამიანმა, უნდა განვამტკიცოთ ერთმანეთისადმი ნდობა, გვახსოვდეს, რომ არ არსებობენ დამნაშავე ხალხები, ისევე როგორც არ არსებობენ დამნაშავე თაობები. მთელი ჯანსაღი საზოგადოებრივი ძალები ერთიანდებიან ჩვენი წარსულის გადამწყვეტი გადაფასების, ისტორიული სიმართლის აღდგენის პირობებში. ეს პროცესი ადვილად არ მიმდინარეობს, იგი ეხება მრავალი ადამიანის ინტერესებსა და წარმოდგენებს, ავორიტეტს მათს ხელსა და მეხსიერებას. ზნეობრივი განწმენდა, რეპრესიების, ადამიანის უფლებათა უხეში გათელვის, სტალინური აზროვნების რეციდივების დაგმობა ჩრდილს არ უნდა აუფენდეს საბჭოთა ადამიანების მთელ თაობებს. ყრილობა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა, ყველგან პატივისცემით ეტყოდნენ ხახელმწიფო სამმართველოებს, ისტორიულ ძეგლებს, ბალხთა სულიერ ღირებულებებს.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პატიოსან ადამიანს ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ დამნაშავეობის, კორუფციის, სპეკულაციისა და სახალხო დოვლათის დატაცების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და კანონების პატივისცემისათვის. საბჭოთა ადამიანი ყველგან უშიშრად უნდა გრძნობდეს თავს: სამუშაოზე, ქუჩაში, შინ.

ყრილობა დარწმუნებულია: ნებისმიერი პრობლემების — ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნებათშორისი პრობლემების დაძლევის გზა მხოლოდ საზოგადოების რევოლუციური განახლებაა, ადამიანთა და ხალხთა შორის ურთიერთგაგებაა.

ჩვენ მოგიწოდებთ, ძვირფასო თანამემამულენო, შეეკავშირდეთ გარდაქმნის იდეებისა და მიზნების გარშემო, აქტიურად ვიმუშაოთ მათი განხორციელების საკეთილდღეოდ.

ახალი წლის წინ გიხურავთ ყველას ბედნიერებას, სიკეთეს და მშვიდობას!

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1989 წლის 24 დეკემბერი.

ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲛᲝᲑᲘᲚᲘᲐ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

1989 ᲬᲚᲘᲡ 9 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲙᲘᲗᲮᲚᲐᲓ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მოისმინა 1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამომძიებელი კომისიის დასკვნა და აღნიშნავს, რომ უდანაშაულო ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებულ ტრაგედიაში აისახა რესპუბლიკას ყოფილი ხელმძღვანელობის უუნარობა საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სერიოზული გამწვავების პირობებში განმუხტა შექმნილი სიტუაცია პოლიტიკური საშუალებებით, აგრეთვე ის სერიოზული ხარვეზები და შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მთავრობის სახლის მოედანზე უსაწყლო მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის დროს. ყრილობა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ არ არსებობს შინაური კონფლიქტების გადასაწყვეტად შეიარაღებული ძალების გამოყენების წესისა და პრაქტიკის ზუსტი საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის 1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამომძიებელი კომისიის დასკვნა.

2. დაგმობილ იქნეს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება.

3. დაევალოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ შესაბამის ორგანოებს განსახილველად და გადასაწყვეტად გაუგზავნოს 1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამომძიებელი კომისიის წინადადებანი.

მოამზადოს გამჭირვალე განხილვის გათვალისწინებით პრესისათვის ინფორმაციის ტექსტი თბილისის ამბების გამოძიების შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ᲑᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1989 წლის 24 დეკემბერი.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ 1989 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲩᲔᲛᲘ თანამემამულეების ცნობიერებაში, რომლებიც ახლა მღელვარებით ადევნებენ თვალყურს 9 აპრილის მოვლენებს ამ განხილვას, მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში პოლიტიკა და სინდისი, მორალი და სამართალი, უშინარეს ყოვლისა კი უფლება ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირსების შენარჩუნებისა.

9 აპრილს ქართველმა ხალხმა მძიმე ზნეობრივი განსაცდელი გამოიარა და მერე სამართლე ამ დღეების შესახებ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდან წარმოითქვა. წარმოითქვა იმ იმედით, რომ ყოველივე ეს გულწრფელ ადამიანურ თანაგრძნობას გამოიწვევდა და მკაცრი პოლიტიკური შეფასება მიეცემოდა ამ ანტიჰუმანურ, სამარცხვინო და გარდაქმნის ეპოქისათვის ყოვლად უღირს აქციას.

მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ როგორ ამოქმედდა ჯერ ფარულად, შემდეგ კი უკვე აშკარად, ის ზამბარები, რომლებსაც ძალუძს სამართლის მაძიებელი ბრალდებულად აქციოს. ხატოვნად რომ ვთქვათ, მთელი ერი დაამსგავსონ გოგოლისეულ უნტერ-ოფიცრის ქვრივს, „რომელმაც თავი თვითონვე გაიროზგა. მაგრამ ახლა მაზინდელი როზგები მომწყმვლელმა გაზებმა და მესაგნერთა ხელბარებმა შესცვალა. საუკუნე-ნახევარი გვაშორებს იმ მბრძანებლური მართლმსაჯულების ქმედრულ სახებას, მაგრამ უკანასკნელი 4 წელი გვინერგავდა იმედს, რომ ამჯერად მაინც გაიმარჯვებდა არა ჩვეული უწყვიტრივი ძალმომრეობა, არამედ დემოკრატიისა და გულმოწყალეთა იდეალები, ასე რომ ამაღლებენ პიროვნებისა და საზოგადოების სულიერებას.

სიყალბითა და ცილისწამებით ცრემლს ვერ შეეშრობთ დედებს, ვერ ვიიძულებთ საზოგადოებას აღიდგინოს დაკარგული სულიერი წონასწორობა. პატივი უნდა მიეგოს იმ ხალხის მწუხარებას, რომელიც ნამდვილი პოლიტიკური ტრაგედიის მსხვერპლი გახდა. იგი დიდსულოვნად გვაძლევს მონანიების საშუალებას, მაგრამ არასოდეს გვაპატიებს გაუკუღმართებულ შეფასებასა და თავისი სულიერი ტკივილის შეურაცხყოფას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ქვეყნის ხელმძღვანელის პოლიტიკურ მოთმინებას, მაგრამ არა და არ ცხრებიან ძალები, რომლებიც დღენიადაგ ცდილობენ გამაწვავონ სიტუაცია და დამტკიცონ, თითქოს თბილისში მომხდარი ტრაგედია კანონზომიერი და დემოკრატიის მომხრეთათვის ჭკუისასწავლებელი ყოფილიყოს.

რაგინდ კეთილ მიზნებსაც უნდა ისახავდეს ხელისუფლება, თუ ხალხის ნების დასათრგუნად ძალას გამოიყენებს, იგი ადრე თუ გვიან აღმოჩნდება ჩიხში, საიდანაც გამოსავალს ვეღარ მონახავს. ამას გვასწავლის წარსულისა და თანამედროვეობის მწარე გამოცდილება.

9 აპრილის ტრაგედიამ, ისევე როგორც ზოგიერთმა შემდგომმა დრამატულმა მოვლენამ საქართველოში, დაადასტურა ჩვენი ხალხისადმი ვ. ს. გორბაჩოვის მიმართვაში გამოთქმული აზრი, რომ ეს გარდაქმნისათვის ლახვარის ჩაცემას უდრიდა. ძალა ყოველთვის წარმოშობს ძალმომრეობის ჯაჭვურ რეაქციას, ანგარიშსწორების პოლიტიკას კი ძალუძს ყოველი დავა აშკარა კონფრონტაციად აქციოს და ისედაც დაპირისპირებულ ეროვნებათ შორის ახალი შუღლი ჩამოაგდოს. ყოველივე ამის შემდეგ ძნელი არ არის მოითხოვო საგანგებო მდგომარეობის შემოღება, კომენდანტის საათის გამოცხადება. ირადა, საზოგადოებს ჯავშანტრანსპორტიორებზე ამხედრებული ჯარისკაცები კი არ უნდა მართავდნენ, ისინი კი არ უნდა აგვარებდნენ ამგვარ კონფლიქტებს, ირამედ ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტები.

რესპუბლიკაში, აპრილის შემდგომი პერიოდის მრავალი კონფლიქტის მიუხედავად, თითქმის ერთი სცენარით რომ გათამაშდა, ჩვენ ყველაზე კრიზისულ ვითარებაშიც კი ახლად არ მოგვვლია ძალის გამოყენება. რა თქმა უნდა, ძნელია ასეთ პირობებში, საზოგადოების კონსოლიდაციის მისაღწევად მწვავე პოლიტიკური დიალოგისა და დისკუსიების გამართვა, მაგრამ ადრეც ასე ვთვლიდი და დღესაც ასე მიმაჩნია, რომ ადამიანს უფლება აქვს საფრთხეში ჩააგდოს მხოლოდ საკუთარი თავი და არა იმათი სიცოცხლე, ვინც ხელმძღვანელის როლი მიანდო და დაკისრა.

გულწრფელობა და ვაჟკაცობა სჭირდება იმის აღიარებას, რომ თბილისის ტრაგედიის თავიდან აცილება აუცილებელი და სავსებით შესაძლებელიც იყო. ცდადაც კი არ ღირს მომხდარი საშინელების გამართლება, რასაც ვერასოდეს ამოშლი მრავალი ათასი ადამიანის მეხსიერებიდან, რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ და, თურმე ნუ იტყვით, ვერ „მოთავსდნენ“ დაგეგმილი ოპერაციის სასტიკ ჩარჩოებში. ფაქტების ვერანაირი გაყალბება ვერ გააქარწყლებს იმ აზრს, რომ, საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, პასუხისმგებლობა ეკისრება არა ხალხს, არამედ ამ აქციის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ყველა უფლებით აღჭურვილ ჩინოსნებს, რომელნიც მოგალე იყვნენ უკანასკნელ დეტალამდე განეჭვრიტთ მოსალოდნელი შედეგები. სწორედ ამის გამო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 9 აპრილის მოვლენების შესახებ ერთიანი აზრია დამკვიდრებული.

მიტინგის ხასიათისა და მიტინგს აღკვეთის ღონისძიებათა აშკარა შეუსაბამობა გასცდა ყველა დასაშვებ ფარგლებს და ხალხთან შეტაკებაში გადაიზარდა. საზოგადოება, რომელიც დემოკრატიის გზას დაადგა, აღარავის მისცემს უფლებას იგი კვლავ იმპერიული მუშტის მეშვეობით მართოს.

ჩვენი დემოკრატიის ხარვეზები, უკიდურესი ლოზუნგები და მოწოდებები, ემოციური აღგზნებულობა გარდაუვალი საზღაურია იმ უზნეო პასიურობისა, ჩვენში რომ მრავალი წლის მანძილზე ინერგებოდა. გაიხსენეთ, წინათ რა შესაშური გულგრილობით ვიმეფდით სხვადასხვაგვარ „უკიდურეს“ ლოზუნგებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ჩიხში შეაყავდათ, ხალხს კი სულში ეროვნული და მოქალაქეობრივი დაეცველობის გრძნობას უმკვიდრებდა. ჩვენ არ ვიყავით, დრომად რომ ვაფრიალებდით ერთი შერწყმისა თუ გაქრობის, სხვადასხვა კულტურებისა თუ ენების შერწყმა-შერევის ყბადაღებულ თეორიებს? ჩვენ არ ვუოიგდებოდით იმ „ბელადების“ დაუოკებელ განდიდებას, საზოგადოება კრიზისულ მდგომარეობამდე რომ მიიყვანეს?!

ადამიანებს სურთ დაგვიჯერონ, მაგრამ ხშირად ჭირს მათი დარწმუნება იმაში, რომ პოლიტიკური კინიუნქტურა ან ჩვენი თანამდებობრივი მდგომარეობა ხელს არ შეგვშლის ბოლომდე გულწრფელი ვიყოთ. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ხალხს, რომ მათ მიერ ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილება გამართლებული და ხორცშესხმული იქნება.

სულაც არა ვარ სანტიმენტალური, მაგრამ ზნეობრივი თვალსაზრისით პირადად ჩემთვის სრულიად გაუგებარია: როგორ შეიძლება გულმოწყალე იყო არა მსხვერპლის, არამედ მოძალადის მიმართ! თუ ჩვენ მართლაც ვუფრთხილდებთ ფედერაციას, თუ მართლაც ვაპირებთ ერთად ცხოვრებას, რაღატომ ვთრგუნავთ ბუნებრივ გრძნობებს და მქუხარე ტაშით ვაჯილდოებთ მოძალადეს მაშინ, როცა მგლოვიარე ხალხი ძაძებითაა შემოსილი?!

ასევე უზნეობაა მთელ ქართველ ხალხს მიაწერო ანტირუსული განწყობილება და რუსოფობიძულეობა. რუსეთის თვითმპყრობელობის იმპერიული პოლიტიკაც კი საქართველოში არასოდეს გაიგივებულა რუს ხალხთან, პოლიტიკა, რომელმაც ორი საუკუნის წინათ ფეხქვეშ გათელა საქართველოსა და რუსეთის შორის დადებული ეკონგრეესკის ხელშეკრულება, პოლიტიკა, რომელმაც 1801 წელს საუკუნეზე მეტი ხნით მოუსპო ქართველ ერს სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი!

ჩვენში ღრმად აქვს გადგმული ფესვი სტერეოტიპებს. განა 1920 წლის ხელშეკრულების დარღვევის აღიარება ბრალდებას ნიშნავს რუსი ხალხის მიმართ? ასეთი აღიარება ბრალს სდებს და პასუხისმგებლობას აკისრებს არა რუს ხალხს, არამედ მაშინდელი ქვეყნის ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომლებმაც შელახეს არა მარტო ქართველი, არამედ რუსი ხალხისა და სხვა ხალხების ეროვნული ღირსებაც. და თუ გვინდა სრული ნდობა მოვიპოვოთ, ისტორიის ფაქტები კი არ უნდა მივჩემალოთ, არამედ ბოლომდე წარმოვაჩინოთ.

ასევე არ შეიძლება ქართველი ხალხი გავაიგივოთ ჩვენი საერთო ისტორიის ზოგიერთ ოდიოზურ სახელთან, როგორც ეს გუშინწინ გაისმა ამ ტრიბუნიდან. არ ვიცი, აღინიშნა თუ არა ეს 9 აპრილის სამმის მასალებში, მაგრამ თბილისში ყველამ იცის, რომ მიტინგის დარბევის დროს ზოგიერთ გახელებულ სამხედრო მოსამსახურეს პირზე ეკერა სტალინისა და ბერიას სახელები.

თავს ნებას მივცემ შევნიშნოთ: სამხედრო უწყება ჩვენში კვლავ გაწსაკუთრებული უფლებებითაა აღჭურვილი. მე მხედველობაში არა მყავს ჩვენი არმია, რომელსაც განსაკუთრებულად, პატივისცემითა და სათუთად უნდა ეკიდებოდეთ. მაგრამ სამხედრო უწყება არმია როდია, და მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, იგი უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებულ ფარგლებში. ერთი გენერალი უხეშად არღვევს გენერალური შტაბის დირექტივას და ჯარისკაცებს უსვამს დემონსტრანტებს, მეორე — თვითნებურად იყენებს ქმნიერ საშუალებებს, შესამე ნაჩქარევად აწყდის გზაზის დაფთავრებელი გამოძიების მასალებს და თავს უფლებას აძლევს სახელი გაუტეხოს ყრილობის კომისიას. ყრილობაზე ავრცელებენ ცილისწამებლური, შავარაზმული შინაარსის ანონიმურ ფურცლებს, რომლებიც უკეღმართულად წარმოგვიდგენენ რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ დაკმაყოფილებს ზოგ-ზოგების ვნებათაღელვას, რეპრესიების ნოსტალგიით რომ არიან შეპყრობილნი. და ამიტომ, სამწუხაროდ, მეტად ჭირს ყოველივე ზემოთქმულისთვის ობიექტური პარლამენტური შეფასების მიცემა.

სამხედრო პროკურატურას, რომელიც სრულიად დაუფარავად ასრულებს თავისი უფროსი კოლეგების მბრძანებლურ შეკვეთას, ჩვენში, ყოველად გაუმართლებლად, არათუ ათანაბრებენ საპარლამენტო კომისიასთან, ლამის მასზე უფრო მაღლაც კი აყენებენ. თუმცა კარგად არის ცნობილი, სადამდე მივედით მაშინ, როცა პოლიტიკური გამოძიება კრიმინალურით შეიცვალა და პოლიტიკური სამსაჯურები — დამსჯელი ორგანოებით. მთელი ამ ტენდენციურობის, არაობიექტურობის ერთადერთი მიზანია როგორმე გადაარჩინონ მუნდირის ღირსება. მაგრამ იქნებ მუნდირი კი არა, უწინარესად თავდადება, სიმამაცე, გულწრფელობა და პრინციპულობა იყოს ჩვენი არმიის ნამდვილი ღირსება?!

არავის არა აქვს უფლება ბრალი დასდოს ერს! მხოლოდ თვით ხალხი შეიძლება იყოს საკუთარი თავის ობიექტური და სამართლიანი მსაჯული! სწორედ ამიტომაც არის, რომ საქართველოს დელეგაცია სრულ უნდობლობას უცხადებს სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლებს და კატეგორიულად მოითხოვს, შეიქმნას ახალი საგამომძიებო ჯგუფი, რომელიც დაექვემდებარება სამოქალაქო იურისტებს. ამ ჯგუფში აუცილებლად უნდა შევიდნენ საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებიც!

სულ უფრო მეტად გვეუფლება ასეთი გრძნობა: ხომ არავინ ცდილობს კვლავ მკვეთრად გაამწვავოს ვითარება საქართველოში? ამიტომ ამ ძმიერ ერს ძმისა ძმისა ვთხოვო ჩემს ხალხს და მოვუწოდო: — ნუ აჰყვება პროვოკაციას, გამოიჩინოს თავშეკავება, სიბრძნე და შეინარჩუნოს ის ღირსება, რომლითაც ყოველთვის იყო გამორჩეული.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲘᲐᲛᲣᲚᲝᲜ ამხანაგებო!

ჩვენი ყრილობის მუშაობა მთავრდება. თუ რის გაკეთება შეეძელით დეკემბრის 12 უკიდურესად შემჭიდროებულ დღეში, ამაზე კიდევ ბევრი ლაპარაკი და კამათი იქნება ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. და მაინც ეფიქრობ, შემიძლია უკვე ახლა გამოვიტანო რამდენიმე დასკვნა.

უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ, განაგრძო და განავითარა რა პირველი ყრილობის გეზი, დაადასტურა გარდაქმნის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ზენობის რადიკალური რეკონსტრუქციის კურსი სოციალისტურ ღირებულებათა შენარჩუნებისა და გამდიდრების საფუძველზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ მხარს უჭერთ სოციალიზმის დემოკრატიულ ჰუმანიზმს, რომელიც შეიცავს მთელ საბჭოურ გამოცდილებას და ამავე დროს

მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა

(დასასრული)

მინდა, ამხანაგებო, მხარი დავუჭირო სახალხო დეპუტატთა გამონთქვამებს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების შესახებ. საქმე ეხება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას. თუ მხარს არ დავუჭერთ მეცნიერებს, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურას, გარდაუვალად ჩამოვრჩებით ტექნიკაშიც და შრომის ნაყოფიერებაშიც, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად საბჭოთა საზოგადოების სულიერ და ზნეობრივ პროგრესზე.

კულტურის სფერო არ უნდა იყოს გამორიცხული ეკონომიკის რეფორმის მოქმედების ფარგლებიდან. აქაც არის ფართო შესაძლებლობანი თვითფინანსებისათვის, სამეურნეო ანგარიშისათვის. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, სახელმწიფო დღეიადაგ მხარს უნდა უჭერდეს მეცნიერებასა და კულტურას და ასრულებდეს დიდ ეროვნულ პროგრამებს, ქმნიდეს ამისათვის საჭირო ცენტრალიზებულ ფონდებს. ასე იქცევიან კარგი ეკონომიკის პირობებშიც კი, მით უმეტეს, უნდა გავაკეთოთ ეს ჩვენ. საერთოდ კი, როცა ვადგენთ ჩვენს გეგმებს როგორც მატერიალურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სულიერ სფეროებში, ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ ყველა ამ გეგმის საბოლოო მიზანია ადამიანის ამაღლება, მისი შემოქმედებითი ძალებისა და მიდრეკილებების გამოვლენა.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაიკავა იმ ძირეული პრობლემების განხილვამ, რომლებიც ეხება პოლიტიკური რეფორმის მორიგ ეტაპს, რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში — საერთოდ ადგილებზე ხელისუფლების ორგანოების ახალი სტრუქტურის შექმნას, სამართლებრივი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დაძაბული მუშაობა მოელის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პაკეტზე.

ამ მიმართულებით ყრილობაზე დიდი ნაბიჯები გადაიდგა. მხედველობაში მაქვს ცვლილებანი კონსტიტუციაში საარჩევნო სისტემის საკითხებზე, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ კანონის მიღება. ამ გადაწყვეტილებების მიღება ადვილი არ იყო. დისკუსიების დროს ჩვენ მოგვიხდა განგვემარტა კომპრომისები სხვადასხვაგვარ შეხედულებებსა და ინტერესებს შორის, დაგვეძლია დასაბუთებული და არცთუ მთლად დასაბუთებული შიში. ეს გასაგებია, რადგან საქმე, შეიძლება, ეხება ყველაზე რთულ პოლიტიკურ „მატერიას“ — ეროვნებათშორის ურთიერთობას. მაგრამ ჩვენი მუშაობის შედეგები სწორედ იმედს გვისახავს. ისინი გვიჩვენებს, რომ, თუ არის კეთილი ნება, ერთმანეთის გაგების მისწრაფება, ყოველთვის შეიძლება ყველაზე თავსატეხი პრობლემების გადაწყვეტის გზის გამონახვა. და ეს, თუ გნებავთ, ერთადერთი რეალისტური პოლიტიკაა, რომლის საფუძველზე შეიძლება განვამტკიცოთ ჩვენი ფედერაცია, როგორც თავისუფალ ხალხთა ნებაყოფლობითი სოციალისტური კავშირი.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ექნება ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შექმნას. ყრილობაზე არსებითად ჩამოყალიბდა ამ მუშაობის დაჩქარების საჭიროების გაგება — ყოველ შემთხვევაში მე ასე მესმის დისკუსიის შედეგები. როგორც პირველი ყრილობის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, მინდა ვთქვა, რომ ეს მიღებული გვაქვს სახელმძღვანელოდ და შეადგენს ვიმოქმედებთ. ამ თვალსაზრისით, ალბათ, ეს ერთ-ერთი, რომლებიც მოითხოვს კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებში ცვლილებების შეტანას. რა თქმა უნდა, შემდგომში ისინი უნდა დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობაზე. ამით შექმნილია სამართლებრივი წანამძღვრები რეფორმების მთელი პროცესის დასაჩქარებლად.

როცა ყრილობის შედეგებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ კარდინალურ თემას, რომელსაც შეეხო მრავალი გამომსვლელი. მხედველობაში მაქვს დეპუტატთა სერიოზული შეშფოთება არასტაბილურობისა და უფესრიგობის მოვლენებით, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესუსტებით. მე მგონი, დეპუტატების მეშვეობით, ამის თაობაზე შეშფოთება გადაეცა მთელ საზოგადოებასაც. ამაზე შეშფოთებით ლაპარაკობენ მშრომელები, მთელი კოლექტივები ჩვენი ყრილობისადმი გამოგზავნილ მრავალ წერილსა და დეპეშაში. საყოველთაო-სახალხო მოთხოვნა გახდა დავამყაროთ წესრიგი ქვეყანაში, განვახორციელოთ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი სპეკულაციის, კორუფციის, ეკონომიკის მრავალი დიდმნიშვნელოვანი სფეროს დეზორგანიზაციის წინააღმდეგ, უზრუნველყოთ დისციპლინის — შრომის, ფინანსური, სახელმწიფო დისციპლინის უთუო დაცვა.

როცა ვამკვიდრებთ ყველაზე ფართო დემოკრატიას, საჯაროობას, ამავე დროს უფლება გვაქვს და მოვალენი ვართ საკითხი ასე დავსვათ: პოლიტიკური აქტიურობა, აზრთა პლურალიზმი არ შეიძლება და არც უნდა გადაიქცეს ანარქიად, საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესრიგის საფუძვლების შერყევად. იმათ, ვინც მოუწოდებს გაფიცვებისათვის, ალვიევებს ეროვნულ ენებებს, გაჰყვირის და გაჰყვირის კერძოდ აქ, ყრილობაზე, თითქოს ჩვენი საზოგადოება ინგრეოდეს, ვინც მოქმედებს პრინციპით: „რაც უარესი, მით უკეთესია“, ჩვენ ვეუბნებით: ჩვენი გზები გაყრილია. ასეთი მოქმედება, როგორც უნდა ცდილობდნენ შენიღბონ იგი გარდაქმნის დროშით, სინამდვილეში რევოლუციური პროცესის ჩაშლის ცდებია. ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ინტერესებს.

ჩვენ განვიხილეთ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხი, მივიღეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დამატებითი ღონისძიება. მაგრამ სწორი არ არის, რა თქმა უნდა, მთელი იმედები დავამყაროთ მხოლოდ მართლწესრიგის ორგანოებზე. ეს მთელი საზოგადოების საქმეა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღებას, შეგნების, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ზრდას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა უბანზე.

რომ ვიკითხოთ, რა გვჭირდებაო ახლა ყველაზე მეტად, მე ასე ვიტყოდი: კონსოლიდაცია გარდაქმნის პლატფორმაზე, ყველა მისი მოგზრის, ყველა იმათი გაერთიანება, ვისაც ესმის, რომ მხოლოდ საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლების გზით შეგძლეთ გამოვიყვანოთ ქვეყანა ახლანდელი ძნელი მდგომარეობიდან.

ვინ არ იცის, ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: მბრძანებლური სისტემის პირობებში, თუნდაც იგი შიშსა და ძალადობაზე ყოფილიყო დაფუძნებული, ქვეყანაში დისციპლინა და წესრიგი სუფევდა, ხოლო დემოკრატიზაცია და თავისუფლება ქაოსისა და ანარქიის გზაა. ფილოსოფიური კამათისათვის აქ არც ადგილია და არც დროა. ვიტყვი მხოლოდ, რომ შიშით ვერ ააშენებ დინამიკურ, სულიერად ჯანსაღ საზოგადოებას, რომელსაც შესწევს ბუნებრივი ზრდისა და თვითგანვითარების უნარი. ამაში ჩვენი ისტორიაც დაგიწმუნდით. შიშს შეუძლია გარკვეული დროით შეინარჩუნოს წესრიგი, მაგრამ ისეთი წესრიგი, რომელიც აცლის სოციალიზმს ჰუმანისტურ შინაარსს და თვით მის აზრს.

საჯაროობამ მხოლოდ აშკარა გახადა ის, რაც ხანგრძლივი წლების მანძილზე გროვდებოდა იმავე შიშის საფარველქვეშ და რასაც ავითარებდა იგი — ბნელს, ბოროტს, უზნეოს. ორიდან ერთი: ან თავისუფლება და გარდაქმნა, ან ყაზარული წესრიგი და უკან დაბრუნება. ჩვენ პირველი ავირჩიეთ და ამ გზას არ გადავუხვევთ. ამ გზაზე, დემოკრატიისა და კანონის გზაზე, ჩამოვაყალიბებთ ახალ, ნამდვილად სოციალისტურ დისციპლინას, სამართლებრივ, და არა დიქტატორულ წესრიგს. ეს ჩვენი საერთო ამოცანა და საერთო პასუხისმგებლობაა — მშრომელებისაც და ხელისუფალთათვისაც. ჩვენ თავს ნებას არ მივცემთ ავყვეთ პანიკას, არასოდეს არ დავუშომბთ იმათ, ვისაც სხვადასხვა მიზეზით სურს დაგვაშინოს ქაოსით და „ქუჩის ბუნტით“.

გარდაქმნამ საზოგადოებას შესთავაზა ღირებულებების ახალი სისტემა, და ადამიანები ეჩვევიან ამით, როგორც თავიანთი ბუნებრივი უფლებით სარგებლობას, თუმცა ყველა და თითოეული საკმაოდ უნარიანად ვერ სარგებლობს ამით. ესეც ფაქტია. თვით გარდაქმნის დროს რა ნაკლოვანებებზე, სიძნელეებზე და შეცდომებზეც უნდა ვლაპარაკობდეთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მისი ეს მთავარი ღირებულება, რომელიც საზოგადოებამ არსებითად უკვე მიიღო.

ამავე დროს იგი ჩვენი უპრეცედენტო საერთაშორისო ავტორიტეტის წყაროა. ჩვენ სოციალისტური ალტერნატივა ... ზრდის დროშაზე დავბრუნდ... ... ზუნგი „თავისუფლებ... ... ტ... ... ყვის ყველაზე ფართო, ... მომცველი მნიშვნელობით. და შეგვიძლია ალვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად ახლა გარდაქმნით შეძოთავაზებული ახალი აზროვნების ნიშნით ვითარდება. მსოფლიომ დააფასა ამ აზროვნების მნიშვნელობა არა მარტო მთავრობების, არამედ ყველა კონტინენტის მილიონობით უბრალო მოქალაქის დონეზე. ხალხების მიერ ჩვენი გარდაქმნის, აღქმა, საბჭოთა კავშირში მიმდინარე გრანდიოზული და მეოფლიო მასშტაბის ცვლილებების გაგება, სოლიდარობა და ენთუზიაზმი გაოცებს თავისი გულწრფელობით, ნდობით და ჩვენი მხარდაჭერის მზადყოფნით.

მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, უკვე ჩამოყალიბდა სრულიად ახალი საერთაშორისო ატმოსფერო. იგი უფრო, ვიდრე ოდესმე, ხელს უწყობს ჩვენს მუშაობას ქვეყნის გარდაქმნისათვის, გვათავისუფლებს დიდი არაძირითადი საზრუნავისაგან, მაგრამ ჩვენთვის ნიშნავს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას — მორალურსა და პოლიტიკურს. ჩვენთვის, ამხანაგო ფიენენ ... ...

საზოგადოებას სჭირდება წესრიგის გარანტიები

(დასასრული)

აქტებმ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი ყრილობის საქმეა. ეს იქნება არა კონტროლი, არამედ ზედამხედველობა, იგი საბირთა, უწინარეს ყოვლისა, არა ჩოკავშირე რესპუბლიკების მიმართ, არამედ ქვეყანაში გამოცემული ყველა უკანონო იურიდიული აქტის მიმართ. ორატორმა წინადადება წამოაყენა, კენჭი უყარონ კანონპროექტის პირველ ვარიანტს.

დეპუტატმა **ი. ნ. გრიაზნინმა** აღნიშნა, რომ უნდა გაარჩიონ პოლიტიკური უფლებები და ადამიანის უფლებები. იგი დაეთანხმა იმას, რომ უნდა აღიკვეთოს ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევა. რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებს, იგი არსად არ არის აბსოლუტური. მან შესთავაზა ყრილობას კიდევ ერთხელ განიხილონ კანონპროექტი და აღმოფხვრან დარჩენილი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა.

დეპუტატმა **ვ. ი. სემიონკომ** თავისი წინადადება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ კანონის მიღების თაობაზე დაასაბუთა იმით, რომ მოგზადებულია მშვიდი, კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც მისი აზრით დააკმაყოფილებს ყველას, უწინარეს ყოვლისა, იმათ, ვინც არ ეთანხმებოდა პროექტის ცალკეულ დებულებებს. საჭირო არ არის, დეპუტატის აზრით, მისი განხილვა უზენაესი საბჭოს შემდგომ სესიისათვის გადაიდოს.

კანონის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად დეპუტატს მიაჩნია ის, რომ იგი შეძლებს ერთგვარად ლაგამი ამოსდოს უწყვეტივ სამართლშემოქმედებას, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართა დემოკრატიზაციის პროცესების გზაზე. კანონის მიღება, მიაჩნია მას, სახავს საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიცადიის გზას.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ კანონი საჭიროა იმისთვის, რომ მთელი ქვეყანა დასახული მიზნების განხორციელების მიზნით ერთიანი რიტმით იღვწოდეს, მიაჩნია დეპუტატ **რ. ა. ბაზაროვას.** სსრ კავშირის კონსტიტუციის პატივისცემა, თქვა მან, ფედერალიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა.

საჭირო არ არის კანონის პროექტი გაიზავნოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში. მისი მიღება ყრილობის კომპეტენციაა.

უნდა შევიგნოთ, თქვა მან შემდეგ, რომ კანონი, რომელსაც ვიხილავთ, დოგმა არ არის. იგი უნდა დაიხვეწოს სსრ კავშირის კონსტიტუციასთან ერთად. კანონის მიღება, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციას.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თქვა დეპუტატმა **ვ. ი. კარასევმა,** თუ სამართალი ასახავს რეალურ ტენდენციებს, ქვეყანაში, საზოგადოებაში შექმნილ სიტუაციას, თუ ეს უფლება ამკვიდრებს ადამიანს, რომლებიც ყალიბდება საბჭოთა მასებში და შრომის გაბნწილებაში, მხოლოდ ამ შემთხვევაშია ეს სამართლებრივი საფუძველშიდო. ბოლოს ორატორმა გამოთქვა აზრი კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესახებ, წუხდა იმის გამო, რომ ეს მუხლი არ მიიღეს ყრილობის განსახილველად

შეჯამა რა აზრთა გაზიარების შედეგები **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა: დავიწყებ იმით, რითი ეხმიანება ერთმანეთს ზოგიერთი აზახაგის კამისელები — ჩემამდე ეს სხვა არხებითაც აღწევს. ზოლო ორატორმა პირდაპირ შეასრულა სარეგიონთაშორისო ჯგუფის დავალება, რომელიც მუდამ ცდილობს, ჩვენს საზოგადოებას მთავაგონოს, რომ იგი იშლება, იღუპება და მისი ხსნა შეუძლიათ მხოლოდ ამ ჯგუფის პროგრამებს და იდეებს. უნდა ითქვას, რომ ეს პროგრამები მათ არ აქვთ, არის მხოლოდ რაღაც ეკლექტიკა, ნამსხვრევები. ეს პროგრამები რომ იყოს, ჩვენ- მათ მოვისმენდით და მივესალმებოდით. ამხანაგი ალქსნისიც, სურს მას ეს თუ არა, დაახლოებით იგივე მოსაზრებებს იზიარებს.

მე ერთი პოზიცია მაქვს და ახლა კიდევ ერთხელ მოგახსენებთ. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, თუ ვინმეს დაშლად მიაჩნია, მაშინ, ამხანაგებო, საკითხი მეტად სერიოზულად დგას. აი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, და მან გარკვევით უნდა დასახოს პოზიცია. სარეგიონთაშორისო ჯგუფი წამოაუწყმ სწორედ ამას იმიერებს, რათა ყრილობას როგორაც უბიძგოს ამისათვის, ■ოახდინოს შინაგანი გადატრიალება დემოკრატიული მეთოდებით.

პირდაპირ გეტყვით; ცდებს, ბრალი დამდონ, რომ ვმონაწილეობ, უფრო მეტიც, იქნებ ვასრულებ კიდეც ვიღაცის შეკვეთას — დავშალო პარტია, სახელმწიფო, ფედერაცია, დავმარხო სოციალიზმი, ასეთ ცდებს მტკიცედ, ერთხელ და სამუდამოდ. უარვყოფ. **(ტაში).**

საჯაროდ მეუბნებიან, გორბაჩოვი ორ სკამზე ჯდომას ცდილობსო, ერთ-ერთი შეხვედრის დროს მე ვთქვი, რომ საკუთარ სკამზე ვზიავარ. საქმე, რა თქმა უნდა, არ ეხება იმ სავარძელს, რომელიც თქვენ მომეცით. ამას ვამბობ პოზიციის თვალსაზრისით. ჩემი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: ჩვენ უნდა ვუმკურნალოთ დაავადებულ საზოგადოებას. ვერანაირი ამბები მას ვერ გადაარჩენს. საჭიროა სერიოზული, რადიკალური ღონისძიებანი იმაში, რაც ეხება ეკონომიკას, ბაზისს, და იმაშიც, რაც ეხება პოლიტიკურ პროცესს, პოლიტიკურ რეფორმას, საზოგადოების სულიერ, მორალურ მდგომარეობას. უნდა ვუმკურნალოთ საფუძვლიანად, მხოლოდ ამ შემთხვევაში მივცემთ ჟანგბადს, მოვაბერავთ ახალ სიცოცხლეს ჩვენს ქვეყანას, ხალოგადოებას, ხალხს, რომელმაც ამდენი რამ გადაიტანა და ამავე დროს უზარმაზარი, იქნებ, ყველაზე დიდი ვალი შეიტანა ცივილიზაციის განვითარებაში, პოგრესში.

ამბტკიცებ, რომ ჩემს სკამზე ვზიავარ, ვიყავი და ვარ მტკიცე კომუნისტი. დაე, ვინმესთვის ეს ფანტაზია იყოს. ჩემთვის კი მიზანია, რომლის მიღწევას გრძელი გზის გავლა, ეტაპები სჭირდება.

დღეს გარდაქმნა სოციალიზმის ხსნაა, ყოველივე იმის გამოვლენაა, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს სახალხო წყობილებას, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ყველა საკითხი გადაწყდეს ადამიანის საკეთილდღეოდ. ჩვენი საზოგადოება უფრო სამართლიანი, ჰუმანური, დემოკრატიული, უნდა გავხადოთ, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერანაირი სხვა ღირებულებებით ამ ამოცანას ვერ გადავჭრით. ვერც წარსულის, ვერც სტალინური ღირებულებებით, ვერც კაპიტალიზაციის, ვერც კონვერგენციის იდეებით და ა. შ.

თუ კონვერგენცია იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გამოვიყენებთ საკუთარ გამოცდილებას და ყოველივე საუკეთესოს შევიძენთ მთელი ცივილიზაციისაგან, მაშინ მე ასეთი კონვერგენციის მომხრე ვარ. ეს არის ლენინური კონვერგენცია. კომუნისტი შეიძლება გახდე მხოლოდ მაშინ, როცა აითვისებ კაცობრობის მიერ შეშუშავებულ მთელ საუნჯეს. მე სიზუსტის პრეტენზია მაქვს აქ. **(ტაში).** ხმები დარბაზიდან „მთელი საუნჯის ცოდნით“.

ამიტომ ახლავე უარვყოფ ბრალდებას. თუ არ მეთანხმებით, საკითხი თუნდაც დღეს გადაწყვიტეთ.

ახლა არსებითად, ჩვენ, ამხანაგებო, დავგიდგა რევოლუციური ცვლილებების ეტაპი, ეს ცვლილებები ისეთია, რომ ყოველთვის, როცა ვდგამთ ახალ ნაბიჯს, ვაკეთებთ არჩევანს. ავიღოთ ეკონომიკა. დადგა საკუთრების, მიწის, ეკონომიკური ცხოვრების ახალი ფორმების საკითხები, ბაზრის საკითხები, როგორ უნდა წარვმართოთ იგი და ა. შ. უნდა გავაკეთოთ არჩევანი, და დავრჩეთ ჩვენი მიზნების ერთგულნი, ამასთან და გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვადგავართ ოქტომბრის გზას და ნამდვილ შინაარსს ვანიჭებთ სოციალისტურ წყობილებას.

ჩვენ შევუდექით პოლიტიკური სისტემის საკითხების გადაწყვეტას და გავაკეთეთ არჩევანი. სოციალიზმი ვერ იარსებებს უდემოკრატიოდ. ეს აღარ იქნება სოციალიზმი, თუ მთავარი მოქმედი პირი — ხალხი — ჩამაშორებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტების შემუშავებისა და მიღებისაგან ხელისუფლების ორგანოების ფორმირებისაგან თავიდან ბოლომდე. ჩვენ დავადექით ამ გზას. იოლია თუ არა იგი? არა, ძნელია. ნახეთ, როგორ მტკივნეულად მიმდინარეობს ყველა პროცესი, როგორ ძნელად ვითარდება ყველაფერი. რა არის პოლიტიკა? ეს არის შესაძლების ხელოვნება. ყველაფერი „დანარჩენი ავანტიურაა. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეალობაა ამ მიწაზე მცხოვრები ხალხები. ამასთან უბრალოდ საიდანღაც ჩამოსახლებული კი არა, არამედ ის ხალხები, რომლებსაც ფესვები აქვთ გადგმული მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ყოველ ხალხს აქვს თავისი ფესვები, თავისი ტრადიციები, თავისი კულტურა.

ამავე დროს ეს არიან ხალხები, რომლებიც დიდი ხანია, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაერთიანდნენ. ეს ის რიდია, რაც მხოლოდ 70 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ამას საუკუნეების ისტორია აქვს. უდიდესია რუსი ხალხის როლი, რომელიც მფარველობდა სხვებს, ამ შემთხვევაში ეს ქართველი ხალხის, დავთესოთ შუღლი, სისხლი, სიკვდილი. აი რისკენ გვიბიძგებენ სეპარატისტები. ყველანაირი სეპარატისტები **(ტაში).** ისინი ყველგან აღიან, ყველა რესპუბლიკაში.

ჩვენ ის-ის იყო დავიწყეთ ენასთან, არჩევნებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების, პირდაპირ ვთქვთ, კერძო, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, და ნახეთ, რა მოჰყვა ამას! გაფიცვები, ეკონომიკური დანაკარგები, შეტაკებები, ეჭვი. ეს იყო უკვე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ, როცა ვამუშავებდი ჩვენს პლატფორმას. ღრმად ვარ დარწმუნებული: ჩვენ შევძლებთ ფედერაციას შევძინოთ ახალი შინაარსი და ამით მივაღწიოთ სუვერენიტეტს, პოლიტიკური იქნება ეს თუ ეკონომიკური, ასპარეზი მივცეთ ეროვნული კულტურის, ენების განვითარებას და ა. შ.

მაგრამ — ერთ კავშირში ერმანეთთან თანამშრომლობით. ეს იქნება სხვა კავშირი, სხვა ურთიერთობა. ამიტომ, უარვყოფ რა ყველა პროვოკაციულ მოწოდებას, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფედერაციას ახალი შინაარსი უნდა შევძინოთ. თუ მუდამ ერთ ადგილს ვტკეპნით, ეს პროცესი კვლავ მწვავე ფორმებს მიიღებს. ჩვენ შევძლებთ ჩვენი კავშირის შენარჩუნებას, თუ მხოლოდ წინ ვივლით და ახალ შინარსს შევძენთ ჩვენს ფედერაციას.

ადამიანებს მარტივი გადაწყვეტანი, სიმშვიდე სწყურიათ, უნდათ, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს. უკვე არაერთხელ მითქვამს და აქაც მინდა გავიმეორო, ყრილობაზე, ეს კი ნიშნავს — ქვეყნის წინაშეც: ნუთუ ვინმეს ჯგონია, რომ გორბაჩოვს, ხელმძღვანელობის სხვა წევრებს, მთავრობას, რიეკოვს არ სურთ, რომ რეფორმები რაც შეიძლება მალე განხორციელდეს. მაგრამ მარტივი გადაწყვეტანი არ არსებობს.

რა თქმა უნდა, ზოგ-ზოგებს სურთ შემოგვაჩეროს „მარტივი“ გადაწყვეტანი. ისინი მოგვიწოდებენ დავუბრუნდეთ წარსულს — მაშინ, ხომ ყველაფერი ნორმალურად იყოო. ვიცით, რა იყო და სად მიგვიყვანა ამან. სხვები ამბობენ ამას დაუყოვნებლივ უნდა გავუმკლავდეთო, დაუყოვნებლივ შევცვალოთ ვითარება ეკონომიკაში, სამომხმარებლო ბაზარზე და ა. შ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ არ სჯერათ სოციალიზმის ძალის, ხალხის ძალის, მისი სიბრძნისა. ეს მარცხმოსურნეობითი განწყობილებაა. დაე, ნუ მიწყენენ ინტელიგენციის წარმომადგენელი ამხანაგები, ეს მათ არ ეხება. ეს ინტელიგენციის პოზიცია კი არა, „ინტელიგენტობანაა“.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, მარტივი გადაწყვეტანი არ არის. და აი ისინი, ძველებური გადაწყვეტანი. რა გვაქვს ჩვენ? არის პირველი ვარიანტი, რომელიც ყრილობაზე გამოვიტანეთ. გახსოვთ, შეეცადე როგორმე დმეხასიათებინა იგი.

შემდეგ. გაიმართა დისკუსია, და გამოირკვა, რომ არის წუხილი, თანაც სერიოზული. კომისიამ შემოიტანა კომპრომისული ვარიანტი. ვერ დავეთანხმები ბალტიისპირელ ამხანაგებსა და ზოგიერთ სხვა დეპუტატს, რომლებიც ამ კომპრომისის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ჩვენ ვიღებთ კანონს კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ სრული მოცულობით, ვქმნით თვით კომიტეტს, ოღონდ იმ პირობით, რომ კანონის დებულებანი, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების შესაბამისობისადმი ზედამხედველობას ეხება, ძალაში შედის ერთდროულად ეროვნულსახელმწიფოებრივი წყობილების თაობაზე კონსტიტუციის კარის შეცვლისა და დამატების შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს გამონაკლისი არ ვრცელდება კომიტეტის უფლებებზე აბორიგელებზე ზედამხედველობის ნორმატიული სამართლებრივი აქტებისადმი, რომლებიც მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება. ახლა იფიქრეთ, რას ნიშნავს ეს? ყველაფერი, რაც კავშირისა და რესპუბლიკების ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება მოქმედი კონსტიტუციის 74-ე და 119-ე მუხლებით რეგულირდება, დაცულია. მაშასადამე, ჩვენ უარს არ ვამბობთ ამ პროცესების ყოველგვარ კონტროლზე, რეგულირებასა და მეთვალყურეობაზე. არა. 74-ე მუხლი და საკავშირო კანონის უზენაესობა რჩება. 119-ე მუხლი და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლება უზრუნველყოფდეს კონსტიტუციის დაცვას, რჩება.

დაისვა ბევრი წინადადება სახელმითი კენჭისყრის შესახებ. ვფიქრობ, ალბათ, ასეც უნდა მოვიქცეთ, ვფიქრობ არც ერთი დეპუტატი არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ დაცული იყოს ყოველი ეროვნების ადამიანის უფლებები, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი.

მ. ს. გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ განმარტა კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის პროექტი, ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ დადგენილების პროექტის შემოტანილ შესწორებათა არსი, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 125-ე მუხლის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტის შესწორება.

ამ შესწორებებს კენჭს უყრიან.

ყრილობამ სახელობითი კენჭისყრით მიიღო სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის პროექტის შესწორებები და მთლიანად კანონი შესწორებათა გათვალისწინებით.

იღებენ კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე ყრილობის დადგენილების პროექტის შესწორებებს და მთლიანად დადგენილებას მიღებულ შესწორებათა გათვალისწინებით. აგრეთვე მიიღეს სსრ კავშირის კონსტიტუციის 125-ე მუხლის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტის შესწორება და კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის 125-ე მუხლის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

ყრილობის მუშაობაში გამოცხადდა შესვენება, რომლის დროს დეპუტატები გამოეთხოვნენ გარდაცვლილ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს კ. ტ. მაზუროვს.

შეუდგა რა შესვენების შემდეგ სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის საკითხის განხილვას, ყრილობამ გადაწყვიტა შემოფარგლულიყო კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევით, თავმჯდომარეს დაავალა წარმოადგინოს კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად. უზენაესმა საბჭომ უნდა აირჩიოს კომიტეტი მორიგ სესიაზე.

ყრილობამ მოიწონა ავტონომიური ფორმირებებისაგან წარგზავნილი დეპუტატების წინადადება 21-დან 25 წევრამდე კომიტეტის შემადგენლობის გაზრდის შესახებ და შეიტანა ცვლილებანი კონსტიტუციის შესაბამის მუხლში. შეიცვალა აგრეთვე კომიტეტის როტაციის წესი.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ს. ს. ალექსეევი, მოადგილედ — ბ. მ. ლაზარევი.

შემდეგ დაზუსტდა ყრილობის შედგომ მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურული მომენტები.

გადაწყდა დისკუსია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხზე შეეწყვიტოთ. დეპუტატთა კითხვებს უპასუხეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვ. ვ. ბაკატინმა** და სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა **ა. ი. სუხარევმა.**

საღამოს სხდომის დაწყებისას **მ. ს. გორბაჩოვმა** კვლავ აცნობა ყრილობას, თუ როგორ ვითარდება მოვლენები რუმინეთში. მან განაცხადა, რომ ეროვნული ხსნის ფრონტმა იცის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წერილის ამბავი და თავის მხრივ აცხადებს თანამშრომლობის სურვილს და აქვს ჩვენი მხარდაჭერისა და დახმარების იმედი.

საბჭოთა მთავრობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ახლა წყვეტს პირველი რიგის დახმარების საკითხს, რომელიც სჭირდებათ დაჭრილებს, — წამლებთან და სპეციალისტებთანაც. ჩვენი წითელი ჯვარი მოქმედებს საერთაშორისო წითელ ჯვართან, აგრეთვე ბულგარეთის, უნგრეთის. იუგოსლავიის, საფრანგეთის შესაბამის ორგანიზაციებთან კონტაქტთან.

მედიკამენტებითა და სასწრაფო დახმარების ტვირთით სავსე პირველი თვითმფრინავები უკვე ჩაფრინდნენ ბუქარესტში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბლოკირებული არიან აეროპორტში.

ჩვენ ახლა დავთქვით, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა. მივმართოთ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს კონტაქტი დავამყაროთ, რათა კოორდინაცია გავუწიოთ ამ მოქმედებას, განვახორციელოთ ღონისძიებანი რუმინელი ხალხისადმი მხარდაჭერის ინტერესებისათვის. გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ამ მიზნით განხორციელდება. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი მთავრობის ხაზით, რომელიც თვალს ადევნებს ამ მოვლენების განვითარებას.

შემდეგ თავმჯდომარემ **ა. ი. লუკიანოვმა** წინადადება წამოაყენა, მიიღონ გადაწყვეტილება ორგანიზებულ დანაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ყრილობის სამდივნოს დავალებით მისმა ხელმძღვანელმა **ვ. კ. კრიუჩკოვმა** დამსწრეთ გააცნო ყრილობის მუშაობის დამახასიათებელი ზოგიერთი განზოგადებული მონაცემები. დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 1977 სანალხო დეპუტატი, მათგან გამოვიდა 427. დისკუსიის მონაწილეთა შორის არიან ყველა მოკავშირე და რუსეთის ფედერაციის ცხრამეტი ავტონომიური რესპუბლიკის, რვა ავტონომიური ოლქისა და ოკრუგის, ექვსივე მხარისა და ორმოცზე მეტი ოლქის, მისი ყველა დიდი ეკონომიკური რაიონის წარმომადგენლები, 28 საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ესენი იყვნენ მუშები და რიგითი კოლმეურნეები, საწარმოების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწენი, სამხედრო მოსამსახურეები, საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები, კომკავშირის წარმომადგენლები.

იმ დეპუტატთა ნაწილმა, რომლებიც ვერ გამოვიდნენ, სამდივნოს ჩააბარეს თავიანთი სიტყვების ტექსტები ან თეზისები. დღის წესრიგის ძირითად საკითხთა გარშემო გამოსვლების ტექსტები გამოქვეყნებულია სტენოგრაფიულ ანგარიშში. ყრილობის მუშაობის დროს განხილეს სახალხო დეპუტატთა 1300-ზე მეტი მიმართვა, მათ შორის 214 კოლექტიური. ისინი გაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებს.

სამდივნოს ხელმძღვანელთა მიერ მოყვანილი ზოგიერთი ფაქტის გამო დეპუტატებმა დასვეს მრავალი კითხვა და გემოთქვეს დაზუსტებანი.

ყრილობამ ცნობად მიიღო სამდივნოს ინფორმაცია.

და ბოლოს, დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის ბოლო საკითხის განხილვას, რომელიც შეიცავს პირველი ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიებისა და უზენაესი საბჭოს კომიტეტის ცნობებს.

პირველად მოისმინეს ცნობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მანდატის შესაბამისად კომისიამ შეისწავლა დოკუმენტური მასალები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების გარემოებებთან. შესაბამისი ყურადღება დაეთმო როგორც იმ დროის საერთაშორისო პირობებს, ისე ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ომის წინა წლებში სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

კომისიის მოთხოვნით საბჭოთა არქივებში მოიძიეს დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან ომის წინ გერმანიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობის არსს. შესადარებელი ანალიზისათვის საჭირო მთელი რიგი დოკუმენტები გამოგზავნეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური არქივიდან და საზღვარგარეთის ზოგიერთი სხვა წყაროდან. საერთოდ გამოვლინდა ბევრი მასალა, რომლებიც წინათ არ შეისწავლებოდა მეცნიერულად და რომლებიც დამატებით შუქს ჰფენენ 1939 წლის სიტუაციის განვითარებას.

კომისიის წევრები გაეცნენ ინფორმაციებს, მათ შორის სსრ კავშირისა და გერმანიას, ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1939 წლის კონტაქტებისა და მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეთა ცნობებს. მოისმინეს გარდა ამისა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა და ექსპერტთა მოსაზრებები, რომლებიც მუ ჰიოზენ მეორე მსოფლიო ომის პრობლემატიკაზე. კომისიის სხდომებზე გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები 1939 წლის მოვლენების მთავარ მონაწილეთა მოქმედების შესახებ, შესთავაზეს ყრილობას საქმისა და მისი დროებითი ფარგლების კვლევის სხვადასხვა მეთოდიკა.

კომისიამ აწონ-დაწონა წარსულის მოვლენები აწმყოსა და მომავალთან კავშირში და ყრილობას წარუდგინა თავისი დასკვნები.

აღინიშნა, რომ თავდაუსხმელობის შესახებ გერმანიასთან ხელშეკრულება სსრ კავშირმა დადო ევროპაში მოახლებული კონფლიქტის კრიზისულ სიტუაციაში და იმ პირობებში, როცა სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის ცდები, მიეღწიათ აგრესიის ერთობლივი მოგერიების შესახებ ეფექტიანი შეთანხმებისათვის, უშედეგო აღმოჩნდა. 1939 წლის 23 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულება უნდა დაემტკიცებინა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, თუმცა ხელშეკრულების მიხედვით მხარეების ვალდებულებები ძალაში დაუყოვნებლივ შედიოდა. რატიფიკაციის შესახებ დადგენილება მიიღეს მოსკოვში 31 აგვისტოს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა კი მოხდა 1939 წლის 24 სექტემბერს.

ამ ხელშეკრულების შინაარსი არ სცილდებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და სახელმწიფოთა სახელშეკრულებო პრაქტიკას, რომელიც მიიღეს მაშინ ასეთი სახის მოწესრიგებისათვის. გერმანიასთან ანალოგიური მორიგებები დადეს იმ დროს ინგლისმა და საფრანგეთმა. მაგრამ არც ხელშეკრულების დადებისას, არც მისი რატიფიკაციის პროცესში, არც რაიმე სხვა ამბავთან დაკავშირებით არ გაშუქებულა ის ფაქტი, რომ ერთდროულად ხელშეკრულებასთან ერთად ხელი მოწერეს „საიდუმლო დამატებით ოქმს“, რომლითაც იმიჯნებოდა ხელშეკრულების დამდებ მხარეთა „ინტერესების სფეროები“ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ფიხეთიდან ბესარაბიამდე.

ოქმის დედანი არ აღმოჩნდა არც საბჭოთა, არც საზღვარგარეთის არქივებში. მაგრამ 1939-1941 წლების იმ დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით, რომლებიც კომისიას აქვს ხელთ საბჭოთა და საზღვარგარეთის წყაროებიდან, ეჭვს არ იწვევს, რომ არსებობს საიდუმლო ოქმი და უტყუარია მისი შემორჩენილი პირები. ამ პირის ტექსტი მოცემულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემებში.

კომისიას მიაჩნია, რომ „საიდუმლო დამატებითი ოქმი“, როგორც შედგენის მეთოდით, ისე შინაარსით წარმოადგენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებისაგან გადახვევას. ხოლო ამ დოკუმენტში სსრ კავშირისა და გერმანიის „ინტერესების სფეროების“ გამიჯვნა იურიდიული თვალსაზრისით ეწინააღმდეგება მთელი რიგი მესამე ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

კომისია აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში სსრ კავშირის ურთიერთობა ლატვიასთან, ლიტვასა და ესტონეთთან წესრიგდება ხელშეკრულებათა სისტემით. 1920 წლის საზავო ხელშეკრულებებისა და თავდაუსხმელობის შესახებ 1926-1933 წელს დადებული ხელშეკრულებების შიხედვით მათი მონაწილეები ვალდებულებას კისრულობენ ყველა გარემოების დროს პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს. ტერიტორიულ მთლიანობას და ხელშეუხებლობას. ასეთი ვალდებულებები ჰქონდა საბჭოთა კავშირს პოლონეთისა და ფინეთის წინაშე.

კომისია აღნიშნავს, რომ გერმანიასთან მოლაპარაკების საიდუმლო ოქმის მიხედვით სტალინი და მოლოტოვი აწარმოებდნენ საბჭოთა ხალხს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მთელი პარტიის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობისაგან მალულად. ამრიგად, მისი დადების შესახებ გადაწყვეტილება არსებითად და ფორმით იყო პირადი ძალაუფლების აქტი და არანაირად არ გამოხატავდა საბჭოთა ხალხის ნებას, რომელსაც არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ შეთქმულებისათვის.

იმან, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულებისა და „საიდუმლო დამატებითი ოქმის“ ხელმოწერას ფაშიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ნაცვლად მოულოდნელად მოჰყვა ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობა, რომელიც განახორციელეს სტალინმა და მისმა დაახლოებულმა პირებმა, აგრესიის, ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებზე მნიშვნელოვანი მადეზორიენტირებელი ზემოქმედება მოახდინა.

მხედველობაში მიიღო რა ამ საკითხის დიდი პოლიტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა, კომისიამ ურჩია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას დაედასტურებინა, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებამ, აგრეთვე მეგობრობისა და საზღვრის შესახებ სსრ კავშირისა და გერმანიის იმავე წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებამ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939-1941 წლებში დადებულმა სხვა მორიგებებმა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დაკარგეს ძალა სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მიერ ომის დაწყების მომენტში, ანუ 1941 წლის 22 ივნისიდან.

წამოაყენეს წინადადება, დაგმონ 1939 წლის 23 აგვისტოსა და 28 სექტემბრის ხელშეკრულებებთან ერთად საიდუმლო ოქმების ხელმოწერის ფაქტი, რადგან მათ არსებობას ადასტურებს გამოვლენილი მონაცემები, როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებისაგან გადახვევა.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღიაროს, რომ საბჭოთა ხალხისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსაგან მალულად მიღებული, რატიფიკაციის პროცედურებიდან ამოღებული ოქმები უსაფუძვლო და ბათილია მათი ხელმოწერის მომენტიდან.

კომისიამ ურჩია ყრილობას აღნიშნოს, რომ ოქმებს არ შეუქმნიათ მესამე ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი სამართლებრივი ბაზა, მაგრამ სსრ კავშირის ომისწინა ხელმძღვანელობამ გამოიყენა ისინი ულტიმატუმების წაყენებისა და სხვა სახელმწიფოებზე ძალისმიერი გავლენისათვის, რითაც დაარღვია მათ წინაშე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულებანი.

კომისია ხელმძღვანელობს იმით, რომ რთული და წინააღმდეგობრივი წარსულის გააზრება ნაწილია გარდაქმნისა და ახალი პოლიტიკური აზროვნების პროცესისა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს უნდა შეუქმნან მთლიანი, ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოსა და ფართო ურთიერთგაგების პირობებში თავისუფალი და თანასწორუფლებიანი განვითარების შესაძლებლობანი.

კომისიის სახელით ინფორმაცია გააკეთა მისმა თავმჯდომარემ **ა. ნ. იაკოვლევმა.**

ყრილობის კომისიის ინფორმაციის გამო შეკითხვები დასვეს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ დადგენილების პროექტის გამო წინადადებები და შენიშვნები გამოთქვეს **ვ. ი. ბოლდასკიმ, ლ. ი. სუხოვმა, ლ. ი. ოორგამ, ჯ. კ. ირგაშევმა, ვ. ი.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ქაქი განწმენდისა და განახლებისა

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის VII პლენუმი

ბაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის VII პლენუმი. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების გარდა მასზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობების მუშაკები, ფართო საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ბუნებრივია, გაფართოებული პლენუმი საქმიანად და ემოციურად მიმდინარეობდა, რადგან იგი პირველად მოიწვიეს 9 აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ. დღის წესრიგში იყო საკითხები: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ 1989 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ყირილობის მოწვევა, ჟურნალისტთა ფონდის შექმნა, 9 აპრილი და პრესა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალი დამოუკიდებელი გაზეთის რედაქტორის არჩევნები და სხვა.

პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილს თბილისში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული ამბების, სტიქიური უბედურების მსხვერპლთა, საქართველოს საზოგადოებრივ გაერთიანებათა და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას.

დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხებზე ანგარიშგებითა და ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი, ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ზ. გომართელი, მდივნის მოადგილე ა. სახარულიძე, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ საკუთარი კორესპონდენტი სჭართველოში ი. ბუხრანელი.

პლენუმზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები და მწერლები, მეცნიერები და პრაქტიკოსები, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა, ახალგაზრდობის წარმომადგენლები, სულ 30-მდე კაცი.

ორატორები მიუთითებდნენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა მთელი ჩვენი მუშაობის შეფასების კრიტერიუმები 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიის შემდეგ. კონკრეტულად აღინიშნა იმ აქციების შესახებ, რომელიც ჟურნალისტთა კორპუსმა განახორციელა სომხთლისა და სამართლიანობის დასაცავად, საერთოდ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დაწესდა ჟურნალისტთა კავშირის სახელობითი სტიპენდია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტებისათვის, ხორცელდება ღონისძიებები პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადებისათვის, შეიქმნა ეროვნული ტრადიციების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა საკონსულტაციო ჯგუფი, ეროვნულ საკითხებზე აზრთა ურთიერთგაცვლას ემსახურება საკრებულო-დარბაზი „მამულიშვილობის“ სახელწოდებით.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა ორგანიზაციის სტრუქტურა, რადგანაც კავშირის მუშაობის სტატუსი და პრინციპები ვერ ფარ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს საკავშირო ორგანიზაციისაგან, იძლეოდეს აზროვნებისა და შემოქმედების თავისუფლების გარანტიას, რათა უფრო აქტიურად შეიწყოს ხელი რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის მოღწევას.

გამოითქვა აზრი, რომ კავშირის რეალური დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია მტკიცე ეკონომიკური ბაზა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოსა-ამერიკის ერთობლივი საწარმოს „თბილის-სიეტლის“ შექმნა, რომელიც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან ჩამოყალიბდა ამერიკის კორპორაცია „სეიბი კორპორეიშნის“ მონაწილეობით. ეს სასიკეთო თანამშრომლობა უკვე გამოიღეს ნაყოფს მომავალი წლის დამლევისათვის.

არის აგრეთვე პრინციპული მორიგება, რომ გაფართოვდეს კავშირურთიერთობა და კონტაქტები ბულგარეთის, პოლონეთის, ისრაელის, თურქეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჟურნალისტებთან.

პლენუმზე ილაპარაკეს ჟურნალისტთა საკუთარი ფონდის შექმნის შესახებ და აღნიშნეს, რომ თანხა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ირიცხებოდა საკავშირო ჟურნალისტურ ორგანიზაციაში, მოსკოვში, ამიერიდან დარჩება საქართველოში და მოხმარდება რესპუბლიკის ჟურნალისტთა საჭიროებებს. გადაწყდა, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი ახლად შექმნილი ფონდიდან თვიურად 50 მანეთს დამატებით დაუნიშნავს უმუშევარ პენსიონერ ჟურნალისტებს.

პლენუმის. მონაწილეთა გამოსვლებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო იმ მუშაობის შეფასებას, რომელსაც საქართველოს პრესა ეწეოდა 9 აპრილის ტრაგიკული ამბების დღეებში და იმის შემდეგ, ერთხელ კიდევ ღრმად გააანალიზეს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა, მათი ჩავარდნები იმ დღეებში. საგანგებოდ აღინიშნა, რომ იმ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოს პრესა საგრძნობლად გააქტიურდა, უფრო შემტევი გახდა, უფრო მწვავედ აყენებს ჩვენი საზოგადოების საჭიროროოტო საკითხებს. ჟურნალისტთა კავშირმა 9 აპრილთან დაკავშირებით მთელი რიგი პოლიტიკური აქციები ჩაატარა მოსკოვში და საზღვარგარეთ.

საერთო სურათის ამ ფონზე სრულ დისონანსად გვევლინება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ საქმიანობა, რომელიც თავისი ტენდენციური პუბლიკაციებით გზაკვალს უნნევს მკითხველს, ხელს უწყობს რესპუბლიკაში სტუაციის გამწვავებას. პლენუმის მონაწილეებმა მხარი დუჭირეს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებას შეიტანონ პროკურატურაში სარჩელი რედაქციის მიერ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის დებულებათა დარღვევის, ეროვნებათშორისი მტრობის გაღვივების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილებას, გამოიყენონ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ამ გაზეთის რედაქტორი ვ. მარტინიუკი, აღძრან შუამდგომლობა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წინაშე რედაქტორის მოადგილის ი. კრაკოვეცკისა და „ლენინსკოე ზნამიას“ იმ თანამშრომლების კავშირიდან გარიცხვის შესახებ, რომლებიც მოუფიქრებელი და ცილისმწამებლური პუბლიკაციებით ერთა შორის აღვივებენ შუღლს, ღალატობენ ჟურნალისტის მაღალ დანიშნულებასა და მოვალეობას.

პლენუმმა მხარი დაუჭირა ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წინადადებას იმის თაობაზე, რომ სათანადო ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი რესპუბლიკაში რაიონული და საქალაქო გაზეთების სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან შეიქმნას ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე მოამზადებს და გამოსცემს ბროშურებს, სადაც სრულფასოვნად და ისტორიული ფაქტების დაუმახინჯებლად, ჭეშმარიტების დაცვით აისახება ამა თუ იმ რეგიონის ისტორია, რაც ერთგვაროად ივნება დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის, ხელს შეუწყობს მშობლიური რაიონის, მისი წარსულის, ეთნოგრაფიის, კულტურული ძეგლების მნიშვნელობის უკეთესად გაცნობასა და შეცნობას, მოზარდი თაობის პატრიოტულ აღზრდას.

საქმიანი სჯა-ბაასი შეეხებოდა ჩვენს საერთო ჟურნალისტურ ოჯახში არსებულ ვითარებას, კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ცალკეული ჟურნალ-გაზეთებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მისამართით. გამოკვეთილად ითქვა, რომ დღეს უფლება არა გვაქვს განვუდგეთ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თავჩენილ პრობლემებს, კონსტრუქციულ წინადადებებს, საჭიროა კუდში არ მივჩანჩალებდეთ მოვლენებს, წინასწარ ვჭვრეტდეთ შესაძლო სიძნელეებს და მოვამზადოთ საღი საზოგადოებრივი აზრი მტკიცეული ერონვული, დემოკრატიული და ეკოლოგიური საკითხების გონივრული გადაწყვეტისათვის. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება ჟურნალისტთა კავშირის პროგრამაში, რომელიც საბოლოო სახით წარედგინება ყრილობას განხილვისა და მიღებისათვის.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილებანი იმის თაობაზე, რომ:

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში წლეულს გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

გამგეობის მიერ 1989 წელს გაწეული ორგანიზაციულ-შემოქმედებითი და საფინანსო-სამეურნეო მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მოწონებულ იქნეს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს პროგრამა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის დამოუკიდებელი არსებობის შესახებ;

საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული და გაზეთში გამოქვეყნებული საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტი მიღებულ იქნეს კავშირის ახალი წესდების საფუძვლად, დამტკიცდეს წესდების სრულყოფაზე მომუშავე კომისიის შემადგენლობა, რომელიც პროექტის საბოლოო ვარიანტს წარუდგენს ყრილობას.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის VIII ყრილობა 1991 წლის ნაცვლად ჩატარდეს 1990 წლის პირველ ნახევარში.

ცხარე კამათი გრძელდებოდა პლენუმზე მაშინაც, როცა განიხილავდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი გაზეთის შექმნის საკითხს. რედაქტორის თანამდებობაზე წამოაყენეს სხვადასხვა კანდიდატურა, მაგრამ პლენუმმა გადაწყვეტა გადადოს არჩევნები მომავალ ყრილობამდე, იქამდე კი ფართოდ გაიცნას რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ახალი გაზეთის პლატფორმა, მისი მიზნები და ამოცანები.

ოთხი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა მუსიკისმოყვარეულებმა პირველად იხილეს სცენაზე მარეხ გოძიაშვილი. გუშინდელივით გვახსოვს ლამაზი, მოხდენილი მომღერლის გამოჩენა, რომელმაც შესრულების თავისებური მანერით, უშუალობით, ოსტატობით უმალ დაიპყრო მსმენელთა გული. რა უცებ გავიდა დრო, რა წამიერი გამოდგა შემოქმედებითი ცხოვრების ორმოცი წელი. რამდენი რამ მოხდა ქართულ ესტრადაზე ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, რამდენი ახალი სახელი გამოჩნდა, რამდენჯერ შეიცვალა ესტრადის ჭირვეული მოდა... მარეხ გოძიაშვილი დარჩა საკუთარი საშემსრულებლო სტილის ერთგული, მაგრამ უარი როდი უთხრა დროის მოთხოვნებს, მონურად როდი დაემორჩილა მას. ქართული საესტრადო სიმღერის ერთ-ერთმა პიონერმა — შესანიშნავმა მომღერალმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა ეროვნულ მუსიკალურ ცხოვრებაში.

რა ლამაზად აჟღერდა მარეხ გოძიაშვილის შესრულებით ქართული ლირიკული მელოდიები! მისი პირველი სიმღერები „წაღვერი და თბილისი“, „გამიგონია“, რომლებიც თავად დაწერა და ასრულებდა მის მიერვე შექმნილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ტრიოსთან ერთად, უმალვე აიტაცა მსმენელმა და ლამის გაიგიგვა კიდეც ხალხურ სიმღერებთან. საბჭოთა კავშირში ეს პირველი ტრიო იყო, რომელიც ქართულ ტრადიციებზე აღმოცენდა და ღირსეულადაც ემსახურა მშობლიურ მუსიკას. ყველგან, სადაც კი ტრიო გამოდიოდა, საბჭოეთის ქალაქებსა თუ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მას აღტაცება და მუურავლე ტაში არ მოჰკლებია, პრესა, კრიტიკოსები საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ, ხოლო ღირსეული ქვეყნის წარგზავნილები ეროვნულ მუსიკას, ნათელსა და ამაღლებულს, ღრმასა და თავისთავად. ლირიკული სიმღერა მარეხ გოძიაშვილისათვის მხოლოდ სიყვარული როდია, იგი მომღერლის სულის ნაწილია და მის ერთგულ სამსახურს „მარეხისეული“ ხიბი აქვს. აკი აქვს კიდეც ეს ხიბი უხვად მომადლებული ჩვენს შესანიშნავ მომღერალს, რომლის შესრულების მანერა, უჩვეულო სისადავე, მომხიბვლელობა, სულის უნაზეს სიმებს რომ ეხება, გვხიბლავს და გვახარებს. ამ ხიბლით და სიხარულით დიდი ხანია გვასაჩუქრებს მარეხ გოძიაშვილი, რომლის ღვაწლიც ღირსეულად დაფასდა. იგი არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი, მოსკოვის მე-6 ფესტივალის ლაურეატი. მომღერლის ტრიო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართული ფესტივალის მთავარი პრიზის — დიდი ოქროს მედლის მფლობელია. ამ და სხვა სპპატიო ჯილდოებმა და შეფასებებმა როდი შეაცვლეს მარეხ გოძიაშვილის დამოკიდებულება შემოქმედებისადმი. იგი, როგორც ყოველთვის, ძიებაშია, დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, კრიტიკულად აფასებს განვლილ და გასავლელ გზას... საშემსრულებლო ტექნიკა მაშინ არის სრულყოფილი, როცა არ ჩანს. მარეხ გოძიაშვილის არსენალში არის არაერთი ტექნიკური ხერხი, რომლებსაც იგი შესანიშნავად ფლობს. აქედან მომდინარეობს სწორად მისი საოცრად თბილი ინტონაციები და ფერები, ასე რომ მოგვწონს და გვიყვარს, და ეს სიმღერები თავისებური მუსიკალური დიალოგია მომღერალსა და მსმენელს შორის, რომლის საფუძველიც ის მხატვრული სიმართლეა, ასე რომ სჭირდება ყოველ ხელოვანს.

— რა არის ჩემთვის სიმღერა... — ხშირად უსვამს თავის თავს ასეთ შეკითხვას ქალბატონი მარეხი და თავადვე უპასუხებს: — სიმღერა თბილი, სუფთა ხელის შეხებაა, რომელიც გვიწყებს ცხოვრებისეულ წვრილმანებს, შეკავავხარ ამაღლებულ სამყაროში, იმ სამყაროში, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ინახავს როგორც განსაკუთრებულ საიდუმლოს...

... დრო მიდის, ესტრადაზე ახალი ვარსკვლავები ინთებიან, მაგრამ მარეხ გოძიაშვილის აფეერებულ სიმღერებს ყავლი არ გასვლია, და გვჯერა, ასეთივეც აღიქვამენ მათ მომავალი თაობები.

ქართული საესტრადო ხელოვნების ამაგდარი მოღვაწე მარეხ გოძიაშვილი წარდგენილია საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდებაზე. მომღერლის მშვენიერი ხელოვნება უთუოდ კვლავაც გაახარებს მისი ნიჭის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს.

მერი გაბრიაძე.

სიმღერა-ფულიგ სითბო და ერთგულება

ახალი წიგნი

მულმართალი ლექსები

„ბედრეპ“ — ასე დაასათაურა იზა ჯაჭვაძემ თავისი ლექსების ახალი წიგნი, რომელიც გამოსცა „ნაკადულმა“ (რედაქტორი ლ. სტვილია, მხატვარი გ. ლლონტი).

წიგნში ლექსებთან ერთად დაბეჭდილია პოემა „თუშეთი“, რომელიც ასე მთავრდება:

„ავალ უწმინდეს ლაშარის
ჯვართან
და მთებზე გავფენ
გულმართალ ლექსებს!“

და მართლაც, პოეტი ქალის ლექსები გამოირჩევა უშუალობით, მშობლიური მხარისადმი წრფელი სიყვარულით. ანოტაციაშიც ეკითვა გამოკვეთილი:

„ამ კრებულით იზა ჯაჭვაძე საქართველოს წარსულს, დღევანდელობას და მომავალს იმედიანად უმღერის...“.

ახალი ნომერი

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე სტატიით „ბართალი სიტყვა“. მასში გამოხატულია რედაქციის პოზიცია, ფიქდაფიქრ მისდევედეს რევოლუციურ ცვლილებებს, რეალისტურად, ბეულმაზებლად აშუქებდეს ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების საჭიროროტო პრობლემებს, იყოს მართალი, ეთიერების ობიექტური შემფასებელი.

ნომერშის შეა რიცხვებში გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მორიგი სესია. „სწორედ ამას ველოდით“ — ასეა დასათაურებული სესიის მოკლე ანგარიში.

ჟურნალი ბეჭდავს ანკეტაზე „ვინ მოყვარეს არ ეძებს...“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სექტორის ბგმის გივი მარუაშვილის პასუხს „შესაბამისად უნდა შეიცვალოს გარდაქმნის იდეოლოგიაც...“ თერჯოლის რაიონში პოლიტგანათლების ჭსელის გამოცდილებას აცნობს მკითხველს ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტის კარლო დოლიაძის პუბლიკაცია „ყველას საწუხარი“.

ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამიმართა ცენტრალური კომიტეტის წევრების შეხვედრა მუშებისა და კოლმეურნეების ჯგუფებთან — საზოგადოებრივი საქმიანობის ის სფეროს წარმომადგენლებთან, სადაც წყდება რესპუბლიკის ეკონომიკური სიმძლავრის, ბედ-იღბალი. სწორედ ისინი გაწყდნენ რედაქციის მიერ მოწყობილ „ბრგვალ მაგიდასთან“ გამართული საუბრის მონაწილეები, რომლის ანგარიშსაც ეწერდება „სსნა მხოლოდ პატიოსან შრომაშია“.

„აკაკი წერეთელი — 150“ — ამ რუბრიკით დაბეჭდილია მასალა „სიმღერა, რომელიც მუდამ თან გვაწყვეს“. ჟურნალის თხოვნით მიმართა მკითხველებს, ქვეყნის მუსიკოსებს, ეპასუხონ, თქრას ნიშნავს მათთვის სიმღერები „სულიკო“ და „ციცინათელა“, თუ აი პირველი გამოსმაურებაც: პოეტ სერგი ოსტროტოს ჩანაბატონ „მარადიული ჰმიფრენა“.

ჯავაპარლალ ნერუს დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება პუბლიკაცია „ინდოელი ხალხის დიდი შვილი“. მისი ავტორია მიხეილ გორბაჩოვი.

გელა შაიშმელაშვილის კრიტიკული პოზდენცია „თერთმეტი იმედი“ მკითხველს მოუთხრობს ქედის რაიონის მკვიდრის, მრავალშვილიანი დედის გულკვარდ ჯაყელის ბედნიერებაზე.

მკითხველი ჟურნალის ახალ ნომერში ნაბეჭდავს ინტერვიუ, ფოტოფორმაციებს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი

საბჭოთა მთავრობის განცხადება

რუმინეთიდან მოსული ცნობები მოწმობს, რომ რუმინელმა ხალხმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ავტორიტარულ რეჟიმთან და ქვეყნის დემოკრატიული განახლების გზას დაადგა.

შეიქმნა ეროვნული ხსნის ფრონტი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საზოგადოების პროგრესულ ძალებს. ფრონტის საბჭომ ხელში აიღო მთელი ძალაუფლება და ხალხს მოუწოდა მხარი დაუჭიროს მის მიერ გამოცხადებულ ღრმა გარდაქმნების პროგრამას.

ქვეყანაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს ხელისუფლების ახალი სტრუქტურების ფორმირება.

რევოლუციურ ცვლილებათა მოწინააღმდეგენი ცდილობენ წინააღმდეგობა გაგვიწიონ, იარაღსაც კი იყენებენ და არ ერიდებიან მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობის შორის.

საბჭოთა ადმინისტრაციები სოლიდარობენ რუმინელ ხალხს, რომელიც თავისუფლების, დემოკრატიისა და ეროვნული ღირსების იდეალებს იცავს.

სსრ კავშირის მთავრობა მხარს უჭერს ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭოს ძალისხმევას, რომლის მიზანია ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება. საბჭოთა კავშირი მზად არის რუმინელ ხალხს, ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას გაუწიოს დაუყოვნებლივი და ეფექტიანი ჰუმანური დახმარება უკანასკნელი დღეების ტრაგიკულ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციაში.

მწვავე სიგნალი

ლიტონის ჩაბარება კვლავ ფერხდება

ჩაიშალა მეორეული შავი ლითონის დამზადების როგორც ათი, ისე თერმეტი თვის გეგმები. როგორც ამას წინათ ვიტყობინებოდით, ეს საქმე მრავალ ლითონჩამბარებელს თვითდინებაზე აქვს მიშვებული და ამას არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს, ყველამ კარგად იცის, რომ ჯართის შეგროვება და მისი მომხმარებლისათვის მიწოდება სახელმწიფო შეკვეთით არის გათვალისწინებული. დიახ, იცის, მაგრამ საამისოდ ცოტას, ან სრულიად არაფერს აკეთებს. როცა ამას ვლაპარაკობთ, ლითონჩამბარებელი ორგანიზაციების გარდა მხედველობაში გვყავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომლებიც მოვალენი არიან აკონტროლონ სახელმწიფოსათვის ჯართის უწყვეტ ნაკადად ჩაბარების მსვლელობა.

ეს, უწინარეს ყოვლისა, თბილისელ ლითონჩამბარებლებს ეხება. 26 კომისრის გარდა გეგმა ვერ შეასრულა დედაქალაქის ვერც ერთმა რაიონმა. ლენინისა და კიროვის რაიონებმა თერთმეტი თვის დავალების შესრულებას შესაბამისად 2203 და 666 ტონა, ხოლო საქართხო რაიონმა — 924 ტონა ჯართი დააკლეს. არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს ამ მხრივ ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძის რაიონებმაც.

კიდევ უარესი მდგომარეობაა აფხაზეთსა და აჭარაში, რომლებმაც გეგმით ნავარაუდევზე შესაბამისად 2884 და 1414 ტონით ნაკლები ლითონი დაამზადეს. 858 ტონა ჯართი დააკლო სახელმწიფოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. ასობით ტონით ნაკლები ლითონი მიაწოდეს შემკვეთს ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის, ქ. ტყიბულის, ქ. მარნეულის ლითონჩამბარებლებმა. ვერ გაართვეს თავი გეგმების შესრულებას ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოჯომის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქარელის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, საგარეჯოს, სამტრედიის, სენაკის, თელავის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, ხობის, წალკის, ცაგერის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებმა.

სისტემატურად არ ასრულებენ ჯართის დამზადების შეკვეთებს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დუშეთის, კასპის, მარნეულის, მცხეთის, სიღნაღის რაიონები. აქაურ ხელმძღვანელებს არ გამოაქვთ სათანადო დასკვნები კრიტიკედან.

ძალიან ცუდად ზრუნავენ ამ საკითხის მოსაგვარებლად სახაგრომრეწვის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციები. მათ ერთად, თერთმეტ თვეში ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფოსათვის 10000 ტონაზე მეტი ლითონის ჩაბარება.

იქ, სადაც სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები პასუხისმგებლობით მიუდგნენ საქმეს შედეგებსაც მიაღწიეს. ვგულისხმობთ ზესტაფონის, ლანჩხუთის, ონის, საჩხერის, აბაშის, ადიგენის, ხონის, წალენჯიხის რაიონებს, ქალაქებს — ფოთს, ჭიათურას, რუსთავს, გორს, ზუგდიდს, წყალტუბოს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჯართის დამზადება დეკემბერშიც. გეგმით გათვალისწინებული 37300 ტონიდან დღეისათვის დამზადებულია მხოლოდ 18 ათასი ტონა. მივხედოთ ჯართის დამზადებას, ლითონს მოუთმენლად ელიან მეტალურგიული და მანქანათაშენებელი საწარმოები.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

სპორტის ამბები

„ოქროს გშრთი“ — ვან ბასტენ

იტალიის საკლუბო გუნდის „მილანისა“ და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი ევროპის 1989 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მას გადეცემა საფრანგეთის ყოველკვირეული გაზეთის „ფრანს ფუტბოლის“ პრიზი—„ოქროს ბურთი“. ვან ბასტენმა გამოკითხვის შედეგად 119 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა კონკურენტები. 80 ქულით მეორე ადგილზე გავიდა „მილანისა“ და იტალიის ნაკრების მცველი ფრანკო ბარესი. გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა ასევე „მილანისა“ ფეხბურთელმა, ვან ბასტენის თანამემამულემ ფრანკ რაიკარდმა — 43 ქულა.

შემთხვევითი არ არის, რომ სამივე ფეხბურთელი „მილანში“ თამაშობს. ამ კლუბმა წლეულს სამი უმნიშვნელოვანესი ტურნირი მოიგო: ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენი ზედიზედ მეორედ აღიარეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, ზარშანწინ კი „ოქროს ბურთი“ რუდ გულიტმა მიიღო. წლეგანწდელ საფეხბურთო სეზონში გულიტი ჩინებულად თამაშობდა, თავის გუნდში („მილანში“) ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვეა ფეხბურთის მინდორზე არ გამოსულა. მიუხედავად ამისა, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში მან მე-7 ადგილი დაიკავა.

საბჭოთა ფეხბურთელები პირველ ათეულში ვერ მოხვდნენ.

● რუმინეთი

ვითარება ნორმალიზდება

ბუქარესტი. 24 დეკემბერს ღამით ბუქარესტში შედარებით სიმშვიდე იყო. დღისით კი განახლდა რადიოსა და ტელევიზიის შენობისათვის ცეცხლის დაშენა მის მიმდებარე სახლებიდან, სადაც ტერორისტები არიან მოკალათებული. რევოლუციის მთავარ შტაბს იცავენ პატრიოტული გვარდია, მოხალისენი ბუქარესტის მცხოვრებთაგან, აგრეთვე რუმინეთის არმიის ნაწილები. ბანდიტთა ცეცხლის ჩაქრობა ჯერჯერობით არ ხერხდება. როგორც ამტკიცებენ, ბუქარესტის სწორედ ამ რაიონში არის წინასწარ გათხრილი მიწისქვეშა გვირაბების ფართო ქსელი, რომლის სქემა კარგად არის ცნობილი ტერორისტებისათვის.

მიუხედავად ამისა, ვითარება დედაქალაქსა და მთელ ქვეყანაში თანდათან ნორმალიზდება. რადიო და ტელევიზია რეგულარულად გადასცემენ ცნობებს რუმინეთის სხვა ქალაქებში მდგომარეობის შესახებ, სადაც იქმნება ეროვნული ხსნის ფრონტის ადგილობრივი საბჭოები, ხორცელდება ღონისძიებები საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის აღსადგენად, წყლით, ელექტროენერგიითა და სურსათით მოსახლეობის მოსამარაგებლად.

ტელევიზიით აჩვენეს რეპორტაჟი დიქტატორის ქალიშვილის ზ. ჩაუშესკუს დაპატიმრების თაობაზე. მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოაჩინეს ხელოვნების ძვირადღირებული ნაწარმოებები, ოქრო, ასი ათასამდე ამერიკული დოლარი.

დილით ბუქარესტის ქუჩებში იყიდებოდა ახალი რუმინული გაზეთი „ადევრული“ („სიმართლე“), რომელსაც ყოფილი გაზეთის „სკინტეიას“ სარედაქციო კოლეგიტივი უშვებს.

● ინდოეთი

ტერორისტთა გამოსვლომები პენჯაბის შტატში

დელი. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში კვლავ გამწვავდა ვითარება პენჯაბის ჩრდილოდასავლეთის შტატის პაკისტანის საზღვრისპირა რაიონებში. იქ მოქმედი ს